

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარების შესაძლებლობა

პიოტრ კაზმიერკევიჩი

ვარშავის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია &
მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ივნისი, 2013

ანგარიში მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას.

შინაარსი

რეზიუმე	1
1. ცირკულარული მიგრაციის განსაზღვრება: მიმოხილვა	3
2. საქართველოდან ევროკავშირში შრომითი მიგრაციის ხასიათი	5
3. არარეგულარული მიგრაცია	8
4. მიგრაციის ასპექტები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია ცირკულარული სქემებით	9
5. ცირკულარული მიგრაციის პროგრამების სარგებელი მიგრანტებისთვის	11
6. ცირკულარული მიგრაციის სქემები ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის	14
7. ცირკულარული მიგრაცია საქართველოში – პროგრესი	20
8. რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის ბიბლიოგრაფია	23 26

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. ანგარიში მოამზადა **პიოტრ კაზმიერკევიჩმა** საიას და კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის – **ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა – ფარგლებში**.

რებიუმე

ცირკულარულ მიგრაციას, რომელიც გულისხმობს კანონიერ მიგრაციას საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, რამდენიმე სარგებლის მოტანა შეუძლია პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის – როგორც წარმოშობის და და-

თუ ცირკულარული მიგრაციის სქემებს თან დაერთვება შეთანხმება სოციალური უფლებების გადაცემის, დასაქმების სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის, მიგრანტების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და დასაქმებულების უფლებათა დაცვის შესახებ, შესაძლებელი გახდება საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების სტატუსის დარეგულირება.

ნიშნულების ქვეყნების, ისე მიგრანტებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს სქემებს დანიშნულების ძირითადი ქვეყნებისთვის, ნაწილობრივ მოგვარდება საქართველოს მო-

ქალაქებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში უკანონო დასაქმებისა და ხანგრძლივი ცხოვრების პრობლემა. თუ ცირკულარული მიგრაციის სქემებს თან დაერთვება შეთანხმება სოციალური უფლებების გადაცემის, დასაქმების სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის, მიგრანტების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და დასაქმებულების უფლებათა დაცვის შესახებ, შესაძლებელი გახდება საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების სტატუსის დარეგულირება. და ბოლოს, ყველა სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტს შორის პასუხისმგებლობათა განაწილება შესაბამისი მიზნობრივი თანხების გამოყოფით გააუმჯობესებს შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით კოორდინაციას სახელმწიფო დონეზე.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს იმ საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და პრაქტიკულ ზომებსა და ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია, რათა ცირკულარულმა მიგრაციამ სარგებელი მოუტანოს იმ ქართველ მიგრანტებს, რო-

მელთა უფლებები არასათანადოდ არის დაცული და რომელთა სტატუსის გაუმჯობესება შესაძლებელია რეგულირების მეშვეობით. დოკუმენტში განხილულია საქართველოს შრომითი მიგრაციის მახასიათებლები და ევროკავშირში გამოყენებული ცირკულარული მიგრაციის სქემები. დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი მიმოიხილავს იმ

ზომებს, რომლებიც ამ დროისთვის მიღებული აქვს საქართველოს ხელისუფლებას, და ზოგიერთ რეკომენდაციას, რომლებიც ეხება არსებულ საჭიროებებს. დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელმისაწვდომი კვლევები.

1

ცირკულარული მიგრაციის განსაზღვრება: მიმოხილვა

ცირკულარული მიგრაცია მჭიდროდ უკავშირდება დროებით მიმოსვლას და ზოგჯერ მას დროებითი მიგრაციის ფორმადაც განიხილავენ. მიგრაციის ევროპული

მართული ცირკულარული მიგრაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც „დროებითი, განახლებადი, ცირკულარული, კანონიერი, მიგრანტის უფლებების დამცველი და იმგვარად მართული, რომ ორივე ქვეყანაში ხელი შეეწყოს შრომის ბაზრის ოპტიმიზაციას.

ქსელის მიერ შემუშავებული ორივე განსაზღვრება ეყრდნობა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების პირობას, მაგრამ დროებითი მიმოსვლისაგან განსხვავებით, ცირკულარობა გულისხმობს „განმეორებით

ლევალურ მიგრაციას ერთი და იმავე პირის მიერ ორ ან მეტ ქვეყანას შორის“.¹ კიდევ ერთი განსხვავება დაყოვნების ხანგრძლივობასა და მიგრანტის იურიდიულ სტატუსს ეხება. ცირკულარობა გამორიცხავს მოკლევადიან მობილობას (სამ თვემდე, როგორც ნესი, ვიზის საფუძველზე), აგრეთვე, ხანგრძლივადიან მიგრაციას (ხუთ წელზე მეტი, რაც დაკავშირებულია ცხოვრების მუდმივ უფლებასთან). მკვლევარები ცირკულარული მიგრაციის ფორმებად განიხილავენ სეზონურ მიგრაციას (3-დან 9 ან 12 თვემდე) და დროებით მიმოსვლას (9-12 თვიდან 5 წლამდე).²

ზოგადად, შეიძლება ვთქვათ, რომ ცირკულარობა ეფუძნება განმეორებას და დაბრუნებას. თუმცა, საჭიროა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, სპონტანური ან ნება-

¹ დროებითი და ცირკულარული მიგრაცია: ემპირიული მტკიცებულება, თანამედროვე პრაქტიკები და სამომავლო შესაძლებლობები. ევროპის მიგრაციის ქსელი, 2010.

² F. Pastore, *Circular migration: Background note for the Meeting of Experts on Legal Migration*, Rabat, 2008, cited in: P. Wickramasekara, *Circular Migration: A Triple Win or a Dead End*, ILO: Geneva 2011, p. 10.

ყოფლობითი ცირკულარული მიგრაცია და, მეორე მხრივ, მართული ან ფასილტირებული ცირკულარული მიგრაცია. ამ უკანასკნელზე საუბარია ევროკომისიის კომუნიკეში, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა.³ აქ ცირკულარული მიგრაციის ეს კონკრეტული ფორმა განმარტებულია როგორც „მართული მიგრაციის ფორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის კანონიერ მობილობას ორ ქვეყანას შორის“. ეს საკმაოდ ფართო და ბუნდოვანი განმარტება⁴ გაუმჯობესებულია CARIM-ის პროექ-

ტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროპული უნივერსიტეტის ფლორენციის ინსტიტუტის მიერ, და რომელიც მოიცავს ევროკავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლოებს. ამ პერსპექტივიდან მართული ცირკულარული მიგრაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც „დროებითი, განახლებადი, ცირკულარული, კანონიერი, მიგრანტის უფლებების დამცველი და იმგვარად მართული, რომ ორივე ქვეყანაში ხელი შეეწყოს შრომის ბაზრის ოპტიმიზაციას.“⁵

³ Communication (2007) 248 *On circular migration and mobility partnerships between the European Union and third countries*, Brussels.

⁴ პ. ვიკრამასეკარას კრიტიკა: *Circular Migration: A Triple Win or a Dead End*, ILO: Geneva 2011, p. 13.

⁵ F. Fargues, *Circular migration: Is it relevant for the south and east of the Mediterranean?* CARIM analytic and synthetic notes 2008/40, EUI: Florence, 2008, abstract.

2

საქართველოდან ევროკავშირში შრომითი მიგრაციის ხასიათი

ზუსტად ცნობილი არ არის, როგორია საქართველოდან შრომითი მიგრაციის მოცულობა, მაგრამ მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2010 წლისთვის ქართველი ემიგრანტების რიცხვი 1.057.000-ს აღწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოველი მეოთხე მოქალაქე საზღვარგარეთ ცხოვრობს.⁶ დადგენილია, რომ საზღვარგარეთიდან შემოსულმა ფულადი გზავნილების მთლიანმა ოდენობამ 2010 წელს 824 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ოდნავ ჩამორჩება იმავე წელს საქართველოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დახმარებას განვითარებისთვის (ODA). 2012 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედ-

ვით კი, 2011 წელს საქართველოს 350-იდან 500 ათასამდე მოქალაქე საზღვარგარეთ იყო დასაქმებული, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 8-იდან 11-ამდე პროცენტს შეადგენს.⁷ დანიშნულების ძირითადი ქვეყნებია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და სომხეთი (რომლებზეც ქართველი ემიგრანტების სამი მეოთხედი მოდის). რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, ქართველი მიგრანტები, ძირითადად, საბერძნეთს (62.000), გერმანიას (17.000) და კვიპროსს (10.000) ირჩევენ.⁸ თუმცა, უნდა ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად რუსეთთან მიმოსვლის შეზღუდვის ნიადაგზე შეინიშნება სხვა მართულეობით მიგრანტების გადანაცვლების ტენდენცია.

⁶ *Migration and Remittances Factbook 2011*, World Bank 2012, p. 122.

⁷ L. Labadze, M. Tukhashvili, *Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries. Country report: Georgia*, CASE/CEU/IZA/LSE Enterprise 2012, p. 25.

⁸ მსოფლიო ბანკის 2007 წლის მონაცემები.

უფრო მეტიც, კვლევები ადასტურებს, რომ ქართველების ინტერესი ემიგრაციის მიმართ უფრო და უფრო იზრდება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქართველების საკმაოდ დიდი დიასპორისა, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილს სურს

კვლევები ადასტურებს, რომ ქართველების ინტერესი ემიგრაციის მიმართ უფრო და უფრო იზრდება.

ქვეყნის სამუდამოდ დატოვება. კავკასიის ბარომეტრის 2012 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტების მხოლოდ ექვსი პროცენტი ფიქრობს ქვეყნის სამუდამოდ დატოვებას. თუმცა, გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (42 პროცენტი) გამოხატა ქვეყნის დროებით დატოვების სურვილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს დატოვების სურვილი უფრო მეტად ახალგაზრდებს აქვთ: 55 წელს ზემოთ გამოკითხული რეს-

საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების უმეტესობის სამუშაო უფლებები დაცული არ არის.

პონდენტების მხოლოდ თვრამეტმა პროცენტმა გამოთქვა ქვეყნის დატოვების სურვილი; იგივე სურვილი აქვს 35 წლამდე ასაკის გამოკითხულების ორ მესამედს.

ქვეყნის დატოვების სურვილი მჭიდროდ უკავშირდება პროფესიულ სტატუსს და განსაკუთრებით მძლავრია მათ შორის, რომლებიც ამჟამად დასაქმებულნი არ არიან, მაგრამ სურთ დასაქმდნენ: სტუდენტები (87 პროცენტი), ამ დროისთვის დაუსაქმებლები, მაგრამ სამუშაოს მაძიებლები (59 პროცენტი).⁹

ქართველი მიგრანტების საზღვარგარეთ დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა სამი წელია, რაც ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის. სომეხი მიგრანტი საზღვარგარეთ საშუალოდ ორ წელს ატარებს, ხოლო უკრაინელი – შვიდ თვეს. განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია მოლდოვის მოქალაქეებთან: მოლდოველი მიგრანტების 49 პროცენტი სამშობლოში 12 თვეში ან ნაკლებ დროში ბრუნდება, ამ პერიოდში ქართველთა დაბრუნების მაჩვენებელი 32 პროცენტს არ აღემატება. ქართველი მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ სამ წელზე მეტ ხანს ატარებს. 18 პროცენტი – ოთხ წლამდე, ხოლო 22 პროცენტი უფრო მეტ ხანსაც.¹⁰

საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების უმეტესობის სამუშაო უფლებები დაცული არ არის. დაბრუნებული მიგრანტების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ რესპონდენტების მხოლოდ

⁹ 2012 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგები მოცემულია: "Viza Liberalization Prospects in Georgia _ the Way Open for Temporary Emigrants?" CRRRC blog, 5 March 2013.

¹⁰ ცხრილი 2 „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ცირკულარული მიგრაციის მახასიათებლები“: A. Di Bartolomeo et al. *Circular Migration in Eastern Partnership Countries: An Overview*, CARIM-East Research Report 2012/30, p.6

36.6 პროცენტს ჰქონდა გაფორმებული ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება. გამოკითხულთა ორმა მესამედმა აღიარა, რომ დღეში რვა საათზე მეტს მუშაობდა, მესამედის განცხადებით კი, დღეში ათ საათზე მეტ ხანს ატარებდა სამსახურში.¹¹ შეშფოთების კიდევ ერთი საფუძველია შეზღუდული ხელმისაწვდომობა ჯანდაც-

ვაზე: გამოკითხულთა მხოლოდ მესამედმა განაცხადა, რომ სტაციონარში ან ბინაზე იმკურნალა, გამოკითხულების ოცმა პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი საერთოდ ვერ ახერხებდნენ მკურნალობის საფასურის გადახდას, ხოლო 42 პროცენტის განცხადებით, ისინი თვითმკურნალობას იტარებდნენ.¹²

¹¹ *Labour Market and Returned Migrant Reintegration in Georgia*, Tbilisi 2012, pp. 95-96.

¹² *Labour Market and Returned Migrant Reintegration in Georgia*, Tbilisi 2012, pp. 96-97.

3

არარეგულარული მიგრაცია

ის, რაც ქართველ მიგრანტებს ხელს უშლის დაიცვან საკუთარი უფლებები, არის მათი დაურეგულირებელი იურიდიული სტატუსი. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2008 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან დაბრუნებული მიგრანტების მეოთხედს არ ჰქონდა ოფიციალური სტატუსი ემიგრაციის ქვეყანაში, ხოლო 30 პროცენტი დროებითი ნებართვის საფუძველზე ცხოვრობდა (მუშაობის ოფიციალური უფლების გარეშე). დაბრუნებულების მხოლოდ 28 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი სარგებლობდნენ მუშაობის უფლებით დანიშნულების ქვეყანაში.¹³

ქართველი მიგრანტების ნებაყოფლობითი დაბრუნების მხარდაჭერის პროგრამა

მა საქართველოში 2003 წლიდან ამოქმედდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში 2011 წელს საქართველოს 595 მოქალაქე დაბრუნდა (ეს მაჩვენებელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან მხოლოდ უკრაინის მაჩვენებელს ჩამორჩება).¹⁴ გარდა ამისა, 2011 წელსვე საქართველოში 112 მოქალაქე დაბრუნდა ევროკავშირის ქვეყნებიდან რეადმისიის პირობების თანახმად. მომდევნო წელს დაბრუნებულების რაოდენობამ 142-ს მიაღწია, ხოლო იმავე წელს საქართველოს 768 მოქალაქე იქნა დეპორტირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.¹⁵

¹³ ციტატა: L. Labadze, M. Tukhashvili, *Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries. Country report: Georgia*, CASE/CEU/IZA/LSE Enterprise 2012, p. 36.

¹⁴ Fig. 2 “EaP countries nationals returning home through AVRR in 2011” in: Z. Brunarska, S. Maanashvili, A. Weinar, *Return, readmission and reintegration in the Eastern Partnership countries: An overview*, EUI Florence 2013, p. 11.

¹⁵ Z. Brunarska, S. Maanashvili, A. Weinar, *Return, readmission and reintegration in the Eastern Partnership countries: An overview*, EUI Florence 2013, p. 6.

4

მიგრაციის ასპექტები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია ცირკულარული სქემებით

შრომითი ურთიერთობების შეზღუდული რეგულაცია. ქართველი მიგრანტები საზღვარგარეთ სამუშაოს საშოვნელად არაოფიციალურ არხებს იყენებენ. მას შემდეგ, რაც 2006 წელს გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, კერძო შუამავალი პირები და სხვა ინდივიდები ერთადერთი აგენტები აღმოჩნდნენ, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებსა და სამუშაო ადგილებს ერთმანეთთან აკავშირებენ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2007 წლის შუამავლების შესახებ კვლევის თანახმად, საქართველოში არ არსებობდა დასაქმების ოფიციალური სააგენტოები. სიტუაცია დღემდე არ შეცვლილა. სამაგიეროდ, პოტენციური მიგრანტები, ძირითადად, არარეგისტრირებულ საშუამავლო ორგანიზაციებს ან ინდივიდებს

ეყრდნობიან და სამუშაოს მოძებნაში სოლიდურ თანხასაც უხდებიან (1,500-იდან 5,000 აშშ დოლარს).¹⁶

შესვლისა და გასვლის მძიმე პირობები. კიდევ ერთი პოტენციური ბარიერი ცირკულარული მიგრაციისთვის არის მოქალაქეობის მოქმედი რეჟიმი. მოქალაქეობის შესახებ 1993 წელს მიღებული კანონის თანახმად (კანონში შესწორებები 2012 წელს შევიდა და მისი განხილვა ახლაც მიმდინარეობს შემდგომი კორექტირების მიზნით), საქართველოს მოქალაქემ შეიძლება დაკარგოს მოქალაქეობა, თუ ის მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და არ დარეგისტრირებულა საქართველოს საკონსულოში ორი წლის მანძილზე. ამავე დროს, კანონმდებლობა

¹⁶ I. Badurashvili, *Circular migration in Georgia*, CARIM-East Explanatory Note 12/65, EUI Florence 2012, p. 3.

უცხოეთის მოქალაქეების შესახებ საქართველოში ცხოვრების უფლებას ანიჭებს ყოფილ მოქალაქეებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ორმაგ მოქალაქეობას კრძალავს, ის ით-

ვალისწინებს პროცედურას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს უფლება აქვს, მოქალაქეობა მიანიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს მისი ღირსების და დამსახურების მიხედვით.¹⁷

¹⁷ G. Gabrichidze, *The Legal Framework for Circular Migration in Georgia*, CARIM-East Explanatory Note 12/61, EUI Florence 2012, pp. 2-3.

5

ცირკულარული მიგრაციის პროგრამების სარგებელი მიგრანტებისთვის

ცირკულარული მიგრაციის სქემებს შეუძლია გადაჭრას რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ამჟამად ქართველი მიგრანტების წინაშე დგას:

ა) ცხოვრებისა და მუშაობის კანონიერი უფლება. ცირკულარული მიგრაციის სქემები საშუალებას მისცემს მიგ-

მიგრანტებს შეეძლებათ გაიუმჯობესონ რეპუტაცია როგორც კეთილსაიმედო აპლიკანტებმა და კვლავაც დაბრუნდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. ხოლო პარტნიორ ქვეყანას, ასეთ შემთხვევაში ნაკლები დეპორტირებულის მიღება მოუწევს.

რანტებს მიიღონ ვიზები და მუშაობის უფლება და, ამასთან, მოიპოვონ ლეგალური სტატუსი ევროკავშირის წევრ

ქვეყნებში. ეს გარემოება შეამცირებს სამუშაოსა და ცხოვრების შესახებ რეგულაციების დარღვევის ფაქტებს (მაგალითად, არალეგალური დასაქმება, სამუშაო დღის გადაჭარბებული ხანგრძლივობა და ა.შ), რის შედეგადაც მიგრანტებს შეეძლებათ გაიუმჯობესონ რეპუტაცია როგორც კეთილსაიმედო აპლიკანტებმა და კვლავაც დაბრუნდნენ ევროკავშირის ქვეყნებში. პარტნიორ ქვეყანას კი, ასეთ შემთხვევაში ნაკლები დეპორტირებულის მიღება მოუწევს.

ბ) სამუშაო გეგმების რაციონალიზაციის შესაძლებლობა. ცირკულარული მიგრაციის სქემები საშუალებას აძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ხანგრძლივი დროით დარჩნენ და იმუშაონ დანიშნულების ქვეყანაში სამუშაო

კონტრაქტის საფუძველზე, რომლის დასრულების შემდეგ მათ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება შეეძლებათ. ზოგი პროგრამა დასაქმების პერიოდის განმეორებასაც ითვალისწინებს, რაც კიდევ უფრო აფართოებს პერსპექტივებს.

გ) ოჯახებისთვის ტვირთის შემსუბუქება. არარეგულარული მიგრანტები ვერ სარგებლობენ ოჯახების გაერთიანების

ორმხრივი შრომითი შეთანხმებები წარმოშობის ქვეყანასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანაბარი უფლებების პრინციპს ეფუძნება. ეს კი გულისხმობს, რომ მიგრანტს უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლება, რომლებითაც სარგებლობენ მსგავს თანამდებობებზე მომუშავე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები.

სქემებით და ამიტომ იძულებულები არიან, მრავალი წლით მოწყდნენ ოჯახსა და ნათესავებს. კვლევებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების 57 პროცენტს შესაძლებლობა არ ჰქონია, ერთხელ მაინც მოენახულებინა ოჯახი საზღვარგარეთ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში (საშუალოდ 4 წელი).¹⁸

დ) უსაფრთხოების დაცვა სამუშაო ადგილზე და საჭიროებების დაკმაყოფილება. სქემა ხელს უწყობს სამუშაოს

მაძიებლის და პოტენციური დამსაქმებლის დაკავშირებას მიგრანტის კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. არარეგულარული დასაქმებისგან განსხვავებით, ამგვარი პროცედურა გულისხმობს, რომ მიგრანტისთვის შეთავაზებულ სამუშაოზე პრეტენზია არ გამოუთქვამს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს და, შესაბამისად, დასაქმების ფაქტი უარყოფითად არ იმოქმედებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე. სანაცვლოდ, მიგრანტები დაცულები არიან თაღლითობისგან, რადგან სახელმწიფო ორგანოები ზედმინევენით გულდასმით ამოწმებენ იმ დამსაქმებლებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაასაქმონ არაევროკავშირის მოქალაქეები.

ე) დასაქმებულთა უფლებების დაცვა. ამგვარი სქემების მეშვეობით ურთიერთობები დამსაქმებელსა და მიგრანტს შორის სახელმწიფო კანონმდებლობით რეგულირდება. ორმხრივი შრომითი შეთანხმებები წარმოშობის ქვეყანასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანაბარი უფლებების პრინციპს ეფუძნება. ეს კი გულისხმობს, რომ მიგრანტს უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლება, რომლებითაც სარგებლობენ მსგავს თანამდებობებზე მომუშავე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები. დამსაქმებლები ექვემდებარებიან შემოწმებას, რომელსაც სახელმწიფო შრომის ინსპექციები ახორციელებენ. შემოწმების მიზანია დაადგინოს,

¹⁸ M. Tukhashvili, *The demographic and economic framework of circular migration in Georgia*, CARIM-East Explanatory Note 12/89, EUI Florence 2012, p. 2.

არსებობს თუ არა სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის რისკები. ასევე, მონმდება სამუშაო საათების რაოდენობა და პირობები.

- ვ) **გარანტირებული შემოსავალი, სოციალური უზრუნველყოფა და პენსია.** ბაზარზე არადისკრიმინაციის პრინციპი ვრცელდება დასაქმების პირობებზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ მიგრანტს აქვს

თანაბარი ხელფასი, სოციალური უზრუნველყოფა და შესაბამისი საპენსიო კონტრიბუცია. ამ სქემის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს სოციალური უზრუნველყოფის და საპენსიო შენატანების ტრანსფერს მასპინძელი ქვეყნიდან წარმოშობის ქვეყანაში მიგრანტის მუშაობის ხანგრძლივობის შესაბამისად.

6

ცირკულარული მიგრაციის სქემები ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის

იტალია. იტალია ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ხელი მოაწერა (პირველად 2003 წელს, ხოლო მეორედ 2011-ში) შრომითი მიგრაციის ორმხრივ ხელშეკრულებას მოლდოვასთან – მას შემდეგ, რაც სათანადოდ შეაფასა მოლდოველი მიგრანტების წვლილი მუშახელის დეფიციტის შევსებაში კონკრეტული სექტორების მიხედვით (მაგალითად, ბინაზე მოვლა). მიგრანტების ამ კონკრეტული ჯგუფის სტატუსის დარეგულირების გადანყვეტილება სამუშაოს ზრდამ და მიგრანტების ამ ჯგუფში დანაშაულის შედარებით დაბალმა მაჩვენებელმაც განაპირობა. მეორე შეთანხმებასა და განხორციელების პროტოკოლს ხელი 2011 წლის 5 ივლისს მოეწერა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის პარტნიორობა მობილურობისათვის

ფარგლებში. შეთანხმების დებულებების თანახმად, დაწესდა მიგრანტების კვოტები (პირველად შესვლასთან დაკავშირებით) და ჩამოყალიბდა ცირკულარული მიგრაციის სქემები მოლდოველი მიგრანტების დაბრუნების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა ორმხრივი ტექნიკური დახმარების პროექტები, პროფესიული გადამზადებისა და იტალიური ენის შემსწავლელი კურსები (მოლდოვაში). გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს იტალიაში მოლდოვის დიასპორის მხარდაჭერის ზომებსაც.¹⁹

მოლდოვასთან ხელმოწერილი შეთანხმება არეგულირებს მოლდოველი შრომითი მიგრანტების ცირკულარულ მიმოსვლას. პროტოკოლის მეშვიდე მუხლის მიხედვით, იტალია ვალდებულია ფასილიტაცია გა-

¹⁹ E. Buracec, *Mobility Partnerships in a Third Country Perspective: The Case of EU-Moldova Migration Cooperation*, Fieri Working Papers, October 2012, p. 12.

უნიოს ორივე მხარის მიერ არჩეული მიგრანტების კონკრეტული კატეგორიის დაბრუნებას მოლდოვაში. ეს დებულება საშუალებას აძლევს მოლდოვის მოქალაქეებს, დაკავდნენ სეზონური სამუშაოთი ცხრა თვის განმავლობაში მუშაობის განუახლებადი უფლების საფუძველზე. პრიორიტეტის მინიჭება კონკრეტულ წელს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეასრულა აპლიკანტმა წარსულში

პროგრამა მიზნად ისახავდა „სამმაგი მოგების“ მიღებას: 1. ჰოლანდიური შრომის ბაზრის დეფიციტის შევსებას, 2. მიგრანტებისთვის ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემას და 3. მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობას წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკაში.

შრომითი მიგრაციის მოთხოვნები ან გაიარა თუ არა შესაბამის სფეროში მოსამზადებელი კურსები.²⁰ შეთანხმება მიგრანტ დასაქმებულს ანიჭებს შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის იმავე უფლებებს, რომლებითაც სარგებლობენ იტალიის მოქალაქეები.²¹

სქემის მოქმედების შედეგები ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც შეიძლება. მოლდოვის მასშტაბით, დასაქმების 70-ზე

მეტი სააგენტო, ხოლო მოლდოვის ფარგლებს გარეთ სამი სააგენტო დაარსდა – აქედან, ორი იტალიაში (პადუა და მილანი). ამასთან, 2012 წლის მარტამდე სამშობლოში დაბრუნდა 250 მოლდოველი მიგრანტი, ხოლო 450-მა პირმა ქვეყანაში საკუთარი ბიზნესი წამოიწყო.²²

ნიდერლანდები. „ცისფერი ჩიტების“ სახელით ცნობილი საპილოტე პროგრამა, რომელიც 2009 წლის დეკემბერში დაიწყო, მიზნად ისახავდა განესაზღვრა დროებითი და ცირკულარული შრომითი მიგრაციის შესაძლებლობები. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 160 ნახევრადკვალიფიციური მუშა სამხრეთ აფრიკიდან და ინდონეზიიდან – ქვეყნებიდან, რომლებთანაც ნიდერლანდებს ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებს. პროგრამის დასრულების შემდეგ მიგრანტები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. პროგრამა მიზნად ისახავდა „სამმაგი მოგების“ მიღებას: 1. ჰოლანდიური შრომის ბაზრის დეფიციტის შევსებას, 2. მიგრანტებისთვის ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემას და 3. მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობას წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკაში. მიგრანტების დაბრუნების წასახალისებლად პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი სახის მხარდაჭერას, როგორიცაა კონსულტაციები სამუშაოს მოძიებაში და მომზადება ბიზნესის დასაწყებად.²³

²⁰ იტალიასა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის შრომითი მიგრაციის განხორციელების პროტოკოლის 7-9 მუხლები (2011 წლის 5 ივლისი)

²¹ შეთანხმების მე-12 მუხლი.

²² V. Mosneaga, *Circular Migration of the Population of the Republic of Moldova*, CARIM-East Explanatory Note 12/68, EUI Florence 2012, p. 6.

²³ S. McLoughlin, R. Munz et al. *Temporary and circular migration: opportunities and challenges*, Working Paper No. 35, March 2011, European Policy Centre: Brussels, pp. 26-27.

პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები დაწესდა: მონაწილეობა აეკრძალა მაღალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშახელს. გარდა ამისა, სქემიდან თავიდანვე გამოირიცხა დასაქმება ჯანდაცვის სექტორში. უფრო მეტიც, მკაცრად განისაზღვრა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები: მონაწილეებს არ ჰქონდათ ოჯახის წევრების ჩამოყვანის უფლება და ვალდებულები იყვნენ ემუშავათ, სულ მცირე, ოთხი დღე კვირაში საბაზრო ფასების შესაბამისი ანაზღაურებით. მიგრანტებს შეეძლოთ ემუშავათ მხოლოდ ისეთ სამუშაოზე, რომელზეც ვერ მოიძებნა ჰოლანდიის ან ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქე, ხოლო მუშაობის ხანგრძლივობა მაქსიმუმ ორი წლით განისაზღვრა. პროგრამაში ჩართვა დროებით შექმნილ დასაქმების ყველა სააგენტოს აეკრძალა.²⁴

პროგრამამ მალევე მიიქცია ევროკავშირის ინსტიტუტების ყურადღება, როგორც ერთ-ერთმა მცირერიცხოვან პროექტთაგანმა, რომელსაც შეეძლო რეალური შედეგი მოეტანა. მიუხედავად ამისა, პროგრამამ ვადაზე ადრე – 2011 წლის ივნისში – შეწყვიტა არსებობა საგარეო საქმეთა სამინისტროს გადანყვეტილებით, რადგან დამსაქმებლებისთვის შესაძლებლობების ზრდა უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებით მთავრობის ამოცანას აღარ წარმოადგენდა. ამავე დროს სქემის განხორციელებისას მიღებულმა გა-

მოცდილებამ შესაძლებელი გახდა შეემუშავებინათ კონკრეტული რეკომენდაციები ცირკულარული მიგრაციის სამომავლო სქემებისთვის. დაქირავების წარმატებული პროცესისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ჰოლანდიელი დამქირავებლების ინტერესი უცხოური მუშახელისადმი. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დამქირავებლებთან დაკავშირება მოხდა ეკონომიკური კრიზისის პიკზე, როდესაც ნაკლებ პრობლემური იყო მუშახელის ნაკლებობა. გარდა ამისა, კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენდა სექტორის არჩევანისა და სამუშაო კონტრაქტის მოუქნელობა – ეს ფაქტი აღნიშნეს კიდევ იმ შუამავლებმა, რომლებიც ჰოლანდიელ დამსაქმებლებს სეზონური მუშახელით უზრუნველყოფდნენ.²⁵

გერმანია. გერმანიის მთავრობის სეზონური დასაქმების პროგრამა, მიუხედავად იმისა, რომ ცირკულარული მიგრაციის კლასიკურ სქემას არ წარმოადგენს, მიგრანტებს შრომით ბაზარზე განმეორებით შესვლის საშუალებას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა კონკრეტული პიროვნება მოითხოვა. გერმანია ევროპის ლიდერია სეზონური მუშახელის რაოდენობის მიხედვით: 2009 წლის მონაცემებით 27,000 გერმანულ კომპანიაში უცხო ქვეყნების 300,000 მოქალაქე მუშაობდა. 2011 წლამდე პროგრამა, უმეტესად, პოლონელებს იზიდავდა, 2011 წლიდან კი ბულგარელები და რუმინელებიც მოიცვა. სისტე-

²⁴ *Pilot Circular Migration. Towards Sensible Labour Migration Policies: Lessons Learned & Recommendations*, Ministry of Foreign Affairs/HIT Foundation, Vught 2012, p. 12.

²⁵ *Pilot Circular Migration. Towards Sensible Labour Migration Policies: Lessons Learned & Recommendations*, Ministry of Foreign Affairs/HIT Foundation, Vught 2012, pp. 15-17.

დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს უცხო ქვეყნის დასაქმებული იმ პირობებით, რომლებითაც სარგებლობს გერმანელი სეზონური მუშახელი. დასაქმების კონტრაქტის ირგვლივ წამოჭრილი დავების მოგვარების პასუხისმგებლობა დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს აბარია, რომელიც უფლებამოსილია დროებით შეუჩეროს პროგრამაში მონაწილეობის უფლება იმ დამსაქმებელს, რომელსაც დასაქმებულის უფლებების დარღვევა დაუდასტურდება.

მის თავდაპირველი ამოცანა იყო დაედგინა დროებითი მუშახელის ნაკლებობა კონკრეტულ სექტორებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო და ა.შ.

სქემა რამდენიმე სახის სარგებელს სთავაზობს მიგრანტ მუშახელს. მისი პირობების თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს უცხო ქვეყნის დასაქმებული იმ პირობებით, რომლებითაც სარგებლობს გერმანელი სეზონური მუშახელი. დასაქმების კონტრაქტის ირგვლივ წამოჭრილი დავების მოგვარების პასუხისმგებლობა დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს აბარია, რომელიც უფლებამოსილია, დროებით შეუჩეროს პროგრამაში მონაწილეობის უფლება იმ დამსაქმებელს,

რომელსაც დასაქმებულის უფლებების დარღვევა დაუდასტურდება. ამავე დროს, სქემა არ უზრუნველყოფს უცხოეთის მოქალაქეებისთვის სოციალურ სარგებლებსა და შეღავათებს, ხოლო დროებითი სამუშაოს ხანგრძლივობა მხედველობაში არ მიიღება ცხოვრების უფლებაზე განაცხადის გაკეთებისას. უფრო მეტიც, დასაქმების პერიოდი შეზღუდულია ექვს თვემდე წელიწადში, თუმცა საწყისი თარიღი მკაცრად განსაზღვრული არ არის: მაგალითად, დასაქმებულს შეუძლია იმუშაოს წლის ბოლო ექვსი და მომდევნო წლის პირველი ექვსი თვე.²⁶

პოლონეთი. პოლონეთში მუშაობა სამუშაო ნებართვის გარეშე შეუძლიათ ბელარუსის, რუსეთის, უკრაინის (2006 წლიდან), მოლდოვისა და საქართველოს (2009 წლიდან) მოქალაქეებს. პოლონეთში შრომის შიდა ბაზრის დეფიციტზე რეაგირების მიზნით შრომის სამინისტროს მიერ შემოღებული რეგულაციები, რომლებიც საშუალებას აძლევს სამი მუშობელი და ევროკავშირის პარტნიორობა მობილურობისათვის ორი ქვეყნის მოქალაქეებს დასაქმდნენ პოლონეთში, თანდათანობით შერბილდა. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა არ წამოადგენს ცირკულარული მიგრაციის სრულ ინსტრუმენტს, იგი საშუალებას აძლევს მიგრანტებს, ხელახლა შევიდნენ ქვეყანაში და იმუშაონ წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში იმავე პირობებით. მიგრანტებს ასევე შეუძლიათ შეიცვალონ დამსაქმებელი.²⁷

²⁶ S. McLoughlin, R. Munz et al. *Temporary and circular migration: opportunities and challenges*, Working Paper No. 35, March 2011, European Policy Centre: Brussels, pp. 35-37.

²⁷ ეს ანალიზი ეფუძნება სისტემის აღწერას, რომელიც მოცემულია დოკუმენტში *Temporary and circular migration in Poland: empirical evidence, current policy practices and future options. Reference Years: 2004-2009*, Polish National Contact Point of the EMN, Warsaw 2011, pp. 19-21.

გამარტივებული პროცედურები განსაკუთრებით ხელსაყრელია სეზონური სამუშაოსთვის, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება უცხოელი მუშახელის დაქირავებასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები. პოტენციური დამსაქმებელი აკეთებს განაცხადს უცხოელი მუშახელის დაქირავების შესახებ შრომის სააგენტოს ადგილობრივ განყოფილებაში. განაცხადის

მიუხედავად იმისა, რომ სისტემა არ წამოადგენს ცირკულარული მიგრაციის სრულ ინსტრუმენტს, იგი საშუალებას აძლევს მიგრანტებს, ხელახლა შევიდნენ ქვეყანაში და იმუშაონ წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში იმავე პირობებით. მიგრანტებს ასევე შეუძლიათ შეიცვალონ დამსაქმებელი.

დამუშავება სწრაფად ხდება და უფასოა დამსაქმებლისთვის. ამის შემდეგ სამუშაოს მაძიებელს შეუძლია მოითხოვოს ვიზა დამსაქმებლის განაცხადის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა არ საჭიროებს ერთთვიან ვადას იმის გადასამონმებლად, ხომ არ გამოუთქვამს სამუშაოს შესრულების სურვილი ევროკავშირის რომელიმე წევრის ქვეყნის მოქალაქეს; 2011 წლიდან უცხოელებს შეუძლიათ შეიცვალონ დამსაქმებელი მუშაობის პერიოდში.

სისტემა დიდი პოპულარობით სარგებლობს სამიზნე ქვეყნებში. დამსაქმებლების

განცხადებების რიცხვმა 2008 წელს დაფიქსირებული 156,000-იდან 2011 წლისთვის 260,000-ს მიაღწია, თუმცა 2012 წელს 244,000-ამდე დარეგულირდა. მიუხედავად იმისა, რომ სქემა, უპირატესად, უკრაინის მოქალაქეებს იზიდავს, დროთა განმავლობაში გაიზარდა პროგრამის ქართველი და მოლდოველი ბენეფიციარების რიცხვიც. 2011 წელს პროგრამაში ჩაირიცხა მოლდოვის 13,024 და საქართველოს 1,774 მოქალაქე, ხოლო მომდევნო წელს იგივე მაჩვენებელი 9,421-ს და, შესაბამისად, 1,384-ს შეადგენდა. 2012 წელს პროგრამით მოსარგებლე ქართველი მიგრანტების 40 პროცენტი მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო 10 პროცენტი – სოფლის მეურნეობაში.²⁸

შრომის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა სისტემის ანალიზმა დაადასტურა, რომ პროგრამა წარმატებით პასუხობს შრომის ბაზრის დეფიციტს, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სექტორში, უფრო ნაკლებად – მშენებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში (სადაც დასაქმების ექვსთვიანი ვადა მეტისმეტად შემზღუდავი აღმოჩნდა).²⁹ ამავე დროს შეინიშნებოდა ხარვეზებიც: შრომის სააგენტოს ადგილობრივ განყოფილებებს არ აღმოაჩნდათ საკმარისი საფუძველი, რომ რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ, და არც სათანადო რესურსი, რომ მონოდებული ინფორმაციის სანდოობა გადაემონმებინათ. სამუშაო ადგილების დათვალიერებამ ცხადყო, რომ მიგრანტების ნაწილი ქვე-

²⁸ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ მონოდებული სტატისტიკა. ხელმისაწვდომია <http://www.mpips.gov.pl/analizy-i-raporty/cudzoziemcy-pracujacy-w-polsce-statystyki/>

²⁹ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ანგარიში გამარტივებული სისტემისა და მისი შეფასების შესახებ. ვარშავა, 2009.

ყანაში ჩამოსვლის შემდეგ ვერ იწყებდა მუშაობას. გარდა ამისა, დაფიქსირდა ყალბი განაცხადების გაცემის შემთხვევებიც, სავარაუდოდ, გადაყიდვის მიზნით.³⁰ ხარვეზების გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა გაიდლაინები შრომის სააგენტოების განყოფილებებისთვის, რაც უზრუნველყოფდა, მაგალითად, მოთხოვნის განაცხადში დამსაქმებლის საიდენტიფიკაციო და ბიზნესის შესახებ ინფორმაციის სიზუსტეს: იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ვერ ან არ წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას, მას კვლავაც შეეძლება პროგრამაში მონაწილეობა, მაგრამ ამ ფაქტორს აუცილებლად გაითვალისწინებენ ვიზაზე განაცხადის დამუშავებისას. ამ მექანიზმების წყალობით შემცირდა არალეგალური დასაქმების შემთხვევები, ხოლო 2010 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ.

სისტემის გამკაცრების საბოლოო ეტაპზე დამტკიცდა რამდენიმე მექანიზმი დაქირავებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.³¹ ამ მექანიზმების მიხედვით, პოტენციური დამსაქმებელი ვალდებულია განაცხადის ფორმაში მიუთითოს ხელფასის ოდენობა, კონტრაქტის ტიპი და, აგრეთვე, დასაქმების ადგილი და ხანგრძლივობა. თავის მხრივ, დასაქმებისთვის აუცილებელი პირობაა არა მხოლოდ დამსაქმებლის განაცხადი, არამედ წერილობითი კონტრაქტის გაფორმებაც. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა არ ითვალისწინებს ადგილობრივი სამუშაო ძალის შემოწმებას, დამსაქმებელი მაინც ვალდებულია მიუთითოს, რომ მან ვერ შეძლო მოთხოვნილ სამუშაოზე ადგილობრივი მუშახელის მოძიება და, რომ ის იცნობს რეგულაციებს უცხო ქვეყნის მოქალაქის სამუშაოზე აყვანის შესახებ.³²

³⁰ M. Bieniecki, M. Pawlak, *Strategie przetrwania. Adaptacja ukraińskich migrantów w zarobkowych do polskiej rzeczywistości instytucjonalnej*, Institute of Public Affairs, Warsaw 2009.

³¹ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 2011 წლის 20 ივლისის ბრძანებულება უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების შესახებ სამუშაო უფლების მოთხოვნის გარეშე (Dz. U. № 155, იტემ 919).

³² დამატებითი ინფორმაცია პროცედურების ცვლილებების განხილვის შესახებ იხილეთ *Polityka migracyjna Polski w odniesieniu do obywateli Biaorusi, Ukrainy i Federacji Rosyjskiej*, Ministry of Interior, Warsaw 2012, p. 19, ხელმისაწვდომია: http://www.emn.gov.pl/download/74/14029/Analiza_blok_wschodni_wersja_ostateczna.pdf

7

ცირკულარული მიგრაცია საქართველოში – პროგრესი

როგორც ცნობილია, მიგრაციის სფეროში სახელმწიფო საკოორდინაციო ორგანოს არარსებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცა საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტიანად მოგვარების გზაზე. მთავრობის გადანყვეტილება, შექმნილიყო მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (2010 წლის 13 ოქტომბერი)³³ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად შეფასდა, რადგან კომისიამ თავი მოუყარა ყველა იმ სახელმწიფო უწყებას, რომლებიც პასუხს აგებდნენ ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის განხორციელებაზე. კომისიის თავმჯდომარეობა იუსტიციის სამინისტროს, ხოლო – თანათავმჯდომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა. ქართველი მიგრანტების დასახმარებლად უაღრესად მნიშვნელოვანია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკით-

ხთა სამინისტროს ჩართულობა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ყოფილი სამოქალაქო რეესტრი) და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობა. ამ უკანასკნელი უწყების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში.³⁴ 2012 წლის მარტში მიღებული კანონის თანახმად, სტატუსის სერტიფიკატები მიენიჭებათ უცხო ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს, რომლებსაც ასევე ენიჭებათ ქვეყანაში ვიზის გარეშე შემოსვლის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლებისა და ქართული დიასპორისთვის განკუთვნილ პროგრამებში მონაწილეობის მიღების უფლება.³⁵

³³ მთავრობის დადგენილება 314 მიგრაციის საკითხებზე სამთავრობო კომისიის ჩამოყალიბების შესახებ.

³⁴ კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ, 24 ნომბერი 2011.

³⁵ N. Chelidze, *Policy on Migration and Diasporas in Georgia*, CARIM-East Explanatory Note 12/33, EUI Florence 2012, p. 7.

სამმა უწყებამ (იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი) ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებს, რაც მოიცავს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიგრაციული მოძრაობის ყველა ასპექტს. 2013 წლის 15 მარტს მთავრობამ

სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მობილობას ცირკულარული მიგრაციის მეშვეობით, რამაც შესაძლებლობა უნდა მისცეს საქართველოს მოქალაქეებს, ლეგალურად იმუშაონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ასევე ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინების და მათი ადგილზე არაეფექტიანად გამოყენების თავიდან არიდების შესაძლებლობა შექმნას.

დაამტკიცა „საქართველოს მიგრაციის სტრატეგია“, რომელიც მოცემული მომენტისათვის „შესაბამისობაშია როგორც ევროპულ სტანდარტებთან, ისე ეროვნულ ინტერესებთან“.³⁶ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მობილობას ცირკულარული მიგრაციის მეშვეობით, რამაც შესაძლებლობა უნდა მისცეს საქართველოს მოქალაქეებს, ლე-

გალურად იმუშაონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ასევე ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინების და მათი ადგილზე არაეფექტიანად გამოყენების თავიდან არიდების შესაძლებლობა შექმნას.³⁷

დოკუმენტი ასევე ანაწილებს კონკრეტულ დავალებებს შესაბამის სამინისტროებს შორის. ცირკულარული მიგრაციის ფასილიტაციის თვალსაზრისით, გადამწყვეტ როლს შემდეგი სახელმწიფო ინსტიტუტები თამაშობს: სტრატეგია ავალდებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულოებს, აღრიცხონ საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. გარდა ამისა, მათ ევალებათ მიაწოდონ მოქალაქეებს ინფორმაცია ნებაყოფლობითი დაბრუნების შესაძლებლობების შესახებ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია მუდმივად განაახლოს მოქალაქეთა ერთიანი მონაცემთა ბაზა (რომელზეც ხელი მიუწვდება სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებსაც) და გასცეს სამოგზაურო დოკუმენტი საქართველოს მოქალაქეებისთვის. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად პასუხისმგებელია, დაბრუნებულ მიგრანტებს შეუქმნას საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ხელსაყრელი გარემო. და ბოლოს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინ-

³⁶ „საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს ევროკავშირთან ერთად მომზადებულ მიგრაციის სტრატეგიას“, 12 მარტი 2013, ხელმისაწვდომია <http://soderkoping.org.ua/page42848.html>

³⁷ საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, 15 მარტი 2013.

ტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვალდებულია, კოორდინაცია გაუწიოს თანამშრომლობის ინიციატივებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან პარტნიორობა მოზილურობისათვის ფარგლებში.³⁸

ამას გარდა, მიღებულ იქნა კონკრეტული ზომები შრომის შიდა ბაზრის მონიტორინგის მიზნით. 2012 წლის ივლისიდან ფუნქციონირება დაიწყო დასაქმების საკითხებ-

ში სახელმწიფო მინისტრის მცირერიცხოვანმა აპარატმა, რომელსაც (სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად) დაევალა დასაქმების მაძიებელთა აღრიცხვა და უმუშევრების შესახებ მონაცემთა გაერთიანებული ბაზის შექმნა.³⁹ ამ უწყების ინტეგრაციის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ზემოთ ნახსენები ფუნქციები სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტს გადაებარა.⁴⁰

³⁸ საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, 15 მარტი 2013.

³⁹ I. Badurashvili, *Circular migration in Georgia*, CARIM-East Explanatory Note 12/65, EUI Florence 2012, p. 3.

⁴⁰ დეპარტამენტის დავალებათა ნუსხა ხელმისაწვდომია: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=256

8

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის

პასუხისმგებლობებისა და რესურსების განაწილება ცირკულარული მიგრაციის ხელშესაწყობად. საჭიროა დავალებები განაწილდეს შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რათა შესაძლებელი

სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია აქტივობებისა და მათ განსახორციელებლად საჭირო ფინანსების განსაზღვრა და გადაცემა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის.

გახდეს მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცირკულარულ მიგრაციას. მინისტრთა კაბინეტი მალე დაამტკიცებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმას; აქ კარგი იქნება, თუ მხედველობაში მიიღებენ მოლდოვის წარმატებულ პრაქტიკას. მოლდოვის მიერ 2011 წლის დეკემბერში მიღებულ სამოქმედო გეგმაში

განერილია კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის ის აქტივობები, რომლებიც საჭიროა მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის მიზნების მისაღწევად და განსახორციელებლად 2015 წლამდე.

სამოქმედო გეგმის მომზადებისას რეკომენდებულია იმ მიმართულებების გათვალისწინება, რომლებიც მოლდოვის მთავრობამ სამოქმედო გეგმაში შეიტანა. პირველ რიგში, მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა მოლდოველი მიგრანტებისთვის უმთავრესი დანიშნულების ქვეყნებთან ცირკულარული და სეზონური მიგრაციის სქემების განვითარების შესაძლებლობების შესწავლას. ამ მიმართულებით მთავრობა აპირებს შეაფასოს საკუთარი მოქალაქეებისთვის ლეგალური მობილობის სხვადასხვა ვარიანტი და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა ქვეყნის საემიგრაციო პროფილის გათვალისწინებით. ასევე საერთაშორისო და არასამთავრო-

ბო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უნდა ამუშავდეს პროექტები, რომლებიც საკუთარი უნარებისა და ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემს დაბრუნებულ მიგრანტებს. და ბოლოს, უნდა განვითარდეს სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობები ცირკულარული მიგრაციისა და რეინტეგრაციის ინიციატივების შემუშავების კუთხით.⁴¹ სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია აქტივობებისა და მათ განსახორციელებლად საჭირო ფინანსების განსაზღვრა და გადაცემა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის.

ცირკულარული მიგრაციის სქემების პოპულარიზაცია შრომით მიგრანტებს შორის შესაძლებელია, თუ დასაქმების პერიოდისთვის მათი სოციალური სარგებლების ტრანსფერი გარანტირებულია.

დანიშნულების ქვეყნებთან სოციალური უფლებების შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმება. ცირკულარული მიგრაციის სქემების პოპულარიზაცია შრომით მიგრანტებს შორის შესაძლებელია, თუ დასაქმების პერიოდისთვის მათი სოციალური სარგებლების ტრანსფერი გარანტირებულია. საქართველოს ჯერაც არ

აქვს ხელი მონერილი შეთანხმებაზე სოციალური შეღავათებისა და დახმარების უზრუნველყოფის შესახებ ევროკავშირის არც ერთ ნევრ ქვეყანასთან; არც რუსეთთან, აზერბაიჯანთან და ბელარუსთან. საქართველოსგან განსხვავებით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ორმა წამყვანმა ქვეყანამ – უკრაინამ და მოლდოვამ უკვე მიაღწია შეთანხმებას ევროკავშირის შვიდ და რვა ქვეყანასთან. გარდა ამისა, უკრაინამ ხელი მოაწერა მსგავს შეთანხმებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა დანარჩენ ქვეყანასთან. ამ კონტექსტში აღსანიშნავია მოლდოვის გამოცდილება, რომელმაც ხელი მოაწერა ამგვარ შეთანხმებას საკუთარი შრომითი მიგრანტებისთვის უმთავრესი დანიშნულების ქვეყნებთან.⁴² შეთანხმების პირობების თანახმად, მეორე სახელმწიფო ვალდებულია, თავისი წვლილი შეიტანოს დასაქმებულის საპენსიო სქემაში მუშაობის ხანგრძლივობის შესაბამისად. უფრო მეტიც, მიგრანტს შეეძლება მიიღოს სარგებელი იმ ქვეყნისგან, სადაც ის მუშაობდა.⁴³

მიგრანტების სამიზნე ჯგუფის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება სქემებზე მუშაობის პროცესში. ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის ეკონომიკური საჭიროებები, რომელთა ნი-

⁴¹ T. Ciumas, *The Legal Framework for Circular Migration in Moldova*, CARIM-East Explanatory Note 12/65, EUI Florence 2012, p. 5.

⁴² შეთანხმება სოციალური უზრუნველყოფის შესახებ მიღწეულია ევროკავშირის შვიდ სახელმწიფოსთან (ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია და რუმინეთი) და თანამეგობრობის სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა და უზბეკეთი)

⁴³ T. Ciumas, *The Legal Framework for Circular Migration in Moldova*, CARIM-East Explanatory Note 12/65, EUI Florence 2012, p. 2.

ევროკავშირის ქვეყნებში ქართველი მიგრანტების ლეგალური დასაქმების მასშტაბები კვლავ მცირე რჩება, რადგან არსებული შესაძლებლობები ძალიან იშვიათად ესადაგება ამ ჯგუფის კონკრეტულ მახასიათებლებს (მაგალითად, მათი უნარ-ჩვევების დონეს, პროფესიულ გამოცდილებას და ა.შ).

ნაშეც დგას დანიშნულების ქვეყნები (სეზონური დაბალკვალიფიციური მიგრაცია პოლონეთსა და გერმანიაში). თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებში ქართველი მიგრანტების ლეგალური დასაქმების მასშტაბები კვლავ მცირე რჩება, რადგან არსებული შესაძლებლობები ძალიან იშვიათად ესადაგება ამ ჯგუფის კონკრეტულ მახასიათებლებს (მაგალითად, მათი უნარ-ჩვევების დონეს, პროფესიულ გამოცდილებას და ა.შ). ცირკულარული მიგრაციის

წარმატებული სქემების შემუშავება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მუშობის პროცესში ბიზნესის წარმომადგენლებიც არიან ჩართული და გათვალისწინებულია მიგრანტების კონკრეტული ჯგუფების მახასიათებლები. კვლევებზე დაყრდნობით, სამუშაო სქემების წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა დანიშნულების ქვეყნებში ბიზნეს-სექტორის მკაფიო მოთხოვნა უცხოურ სამუშაო ძალაზე და თანხვედრა სქემის პირობებსა და მიგრაციის არსებულ პატერნს შორის. ამგვარად, საჭიროა შესწავლილ იქნეს ადგილობრივი შრომითი საჭიროებები და განისაზღვროს სარგებელი, რომელიც შეიძლება ქართველმა მიგრანტმა რეგიონის შრომის ბაზარს მოუტანოს. კვლევა და საკითხის შესწავლა უნდა გახდეს ორმხრივი ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბიბლიოგრაფია

ბადურაშვილი, ირინა, „ცირკულარული მიგრაცია საქართველოში“, CARIM-East განმარტებითი დოკუმენტი 12/65, სექტემბერი 2012

http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-65.pdf

ბარტოლომეო, ანა დი; მაკარიანი, შუშანიკ; მანანაშვილი, სერგო და ვაინარი, აგნეშკა, *ცირკულარული მიგრაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში: მიმოხილვა*, CARIM-East კვლევის ანგარიში 2012/30

<http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-30.pdf>

ბურაცეკი, ეკატერინა, *პარტნიორობა მობილურობისათვის მესამე ქვეყნების პერსპექტივიდან: ევროკავშირისა და მოლდოვას მიგრაციის პარტნიორობის ქეისი*, Fieri Working Papers, ოქტომბერი 2012

http://www.labmiggov.eu/wp-content/uploads/2012/05/paper_Ecaterina-Buracec.pdf

ბრუნარსკა, ჟუჟანა; მანანაშვილი, სერგო; ვაინარი, აგნეშკა, „*დაბრუნება, რეადმისია და რეინტეგრაცია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში: მიმოხილვა*“, CARIM-East Research Report 2013/17

<http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-RR-2013-17.pdf>

კალი, მასიმილიანო და კანტორე, ნიკოლა, „ცირკულარული მიგრაციის გავლენა წარმოშობის ქვეყნებზე. სიმულაციური სავარჯიშო“, Overseas Development Institute, ნოემბერი 2010.

http://www.svr-migration.de/content/wp-content/uploads/2011/09/110929_cali-cantore_final_nw.pdf

ჭელიძე, ნათია, „მიგრაციისა და დიასპორების პოლიტიკა საქართველოში“, CARIM-East Explanatory Note 12/33, სექტემბერი 2012
http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-33.pdf

„ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ქრონოლოგია და ძირითადი დოკუმენტები: პარტნიორობა მობილურობისათვის“. ევროპული ინიციატივის ლიბერალური აკადემია, თბილისი. 7 თებერვალი 2013
<http://www.ei-lat.ge/who-is-who/chronology-of-the-eu-georgia-cooperation-and-the-main-documents/469-mobility-partnership.html?lang=en-GB>

„ცირკულარული მიგრაცია და პარტნიორობა მობილურობისათვის“, Soderkoping Process, 10 აგვისტო 2007
<http://soderkoping.org.ua/page29628.html>

„კომისარი მალსტრომი წარადგენს საქართველოსთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას“, ევროკომისიის პრეს-რელიზი, 25 თებერვალი 2013
http://europa.eu/rapid/press-release_IP-13-156_en.htm

აღმოსავლეთი პარტნიორობის ვიზების ლიბერალიზაციის საქართველოს ინდექსი, თებერვალი 2013
<http://monitoring.visa-free-europe.eu/georgia>

გაბრიჩიძე, გაგა, „ცირკულარული მიგრაციის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში“, CARIM-East Explanatory Note 12/61, სექტემბერი 2012
http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-61.pdf

ჰერნანდეს ი საგრერა, რაული, „ევროკავშირს, საქართველოსა და მოლდოვას შორის პარტნიორობა მობილურობისათვის შეფასება“, 23 აგვისტო 2011
<http://www.easternpartnership.org/publication/mobility-and-migration/2011-08-23/assessing-mobility-partnerships-between-eu-and-moldova>

HIT ფონდი (2011b). გონივრული შრომითი მიგრაციის პოლიტიკისკენ: გამოცდილება და რეკომენდაციები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნიდერლანდების მთავრობა და HIT ფონდი, ჰააგა, ნოემბერი 2011
http://hitfoundation.eu/docs/111110_Pilot%20Circular%20Migration_Lessons_and_recommendations.pdf

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში. პროგრესი 2012 წლისთვის და რეკომენდაციები მომავლისთვის“, ევროპის კომისია, 20 მარტი 2013
http://ec.europa.eu/world/enp/docs/2013_enp_pack/2013_progress_report_georgia_en.pdf

ქარდავა, ეკატერინე, „შრომითი მიგრაციის მართვის იურიდული ასპექტები საქართველოში. პასუხად გ. გაბრიჩიძეს“, CARIM-East Analytic and Synthetic Notes 2012/10

<http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-AS2012-10.pdf>

ლაბაძე, ლაშა და ტუხაშვილი, მარიჯან, *ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის შრომითი მიგრაციის ხარჯები და სარგებლები, ანგარიში საქართველოს შესახებ. CASE/CEU/IZA/LSE Enterprise 2012*

http://www.iset-pi.ge/files/georgia_final.pdf

ლუნდბორგი, პერი, *ცირკულარული მიგრაციის საემიგრაციო პოლიტიკა, ევროპული პოლიტიკის შვედეთის ინსტიტუტი, ანგარიში. 4, სტოკჰოლმი 2010*

<http://www.sieps.se/sites/default/files/>

[Immigration%20Policy%20for%20Circular%20Migration%20\(2010_4\).pdf](http://www.sieps.se/sites/default/files/Immigration%20Policy%20for%20Circular%20Migration%20(2010_4).pdf)

მაროუკისი, თანოსი და ტრიანდაფილიდუ, ანა, *პარტნიორობა მობილურობისათვის: A Convincing Tool for the EU's Global Approach to Migration? მიგრაციისადმი ევროკავშირის გლობალური მიდგომის დამაჯერებელი ინსტრუმენტი? პოლიტიკის დოკუმენტი No. 76, Notre Europe, ბრიუსელი, 26 თებერვალი 2013*

<http://www.notre-europe.eu/media/mobilitypartnerships-maroukistriandafyllidou-ne-jdi-feb13.pdf>

მაკლაფლინი, შინა და მუნცი, რაინერ, *დროებითი და ცირკულარული შესაძლებლობები და გამონკვევები, ევროპული პოლიტიკის ცენტრი, Working Paper No. 35, მარტი 2011*

<http://www.epc.eu/documents/uploads/>

[pub_1237_temporary_and_circular_migration_wp35.pdf](http://www.epc.eu/documents/uploads/pub_1237_temporary_and_circular_migration_wp35.pdf)

ფაქტები მიგრაციისა და რემიტანსის შესახებ 2011, მსოფლიო ბანკი: ვაშინგტონი, DC 2011

<http://siteresources.worldbank.org/INTLAC/Resources/Factbook2011-Ebook.pdf>

„საქართველოს მთავრობა მიიღებს ევროკავშირთან ერთად მომზადებულ მიგრაციის სტრატეგიას“, Country News 2013, Soderkoping Process, 12 მარტი 2013

<http://soderkoping.org.ua/page42848.html>

მოსნეაგა, ვალერიუ, *მოლდოვას რესპუბლიკის მოსახლეობის ცირკულარული მიგრაცია, CARIM-East Explanatory Note 12/68*

http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-68.pdf

რესლოუ, ნატაშა, „პოლიტიკის დოკუმენტი: პარტნიორობა მობილურობისათვის“, *მიგრაციის პოლიტიკა: No. 1*, მასტრისტიის მმართველობის სკოლა, 2010
<http://i.unu.edu/media/unu.edu/publication/000/028/794/PB1.pdf>

რესლოუ, ნატაშა, „დებატები ევროპული პოლიტიკის შესახებ: პარტნიორობა მობილურობისათვის“, *საემიგრაციო პოლიტიკა: No. 9*, მასტრისტიის მმართველობის სკოლა, 2012
<http://mgsog.merit.unu.edu/ISacademie/docs/PB9.pdf>

დროებითი და ცირკულარული მიგრაცია: ემპირიული მტკიცებულება, მოქმედი პრაქტიკა და სამომავლო შესაძლებლობები, ევროპის მიგრაციის ქსელი 2010
<http://emn.intrasoft-intl.com/Downloads/download.do;jsessionid=9241D8BE508CD4382BAC9DDC08E076E9?fileID=2482>

ტუხაშვილი, მირიან, „საქართველოში ცირკულარული მიგრაციის დემოგრაფიული და ეკონომიკური ბაზა“ CARIM-East Explanatory Note 12/89, September 2012
http://www.carim-east.eu/media/exno/Explanatory%20Notes_2012-89.pdf

„ვიზების ლიბერალიზაციის პერსპექტივები საქართველოში“ გზა ხსნილია დროებითი მიგრანტებისთვის?“, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები, 5 მარტი 2013
<http://crrc-caucasus.blogspot.com/2013/03/visa-liberalization-prospects-in.html>

ვაინარი, აგნეშკა, „პარტნიორობა მობილურობისათვის და მისი გავლენა ლეგალურ მიგრაციასა და მობილობაზე“. ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტის მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი
<http://www.migrationpolicycentre.eu/mobility-partnerships-what-impact-do-they-have-on-legal-migration-and-mobility/>

ვიკრამასეკარა, პიასირი, *ცირკულარული მიგრაცია: სამმაგი მოგება ან ჩიხი*, გლობალური კავშირის კვლევის ცენტრი, Geneva 2011
<http://www.gurn.info/en/discussion-papers/no15-mar11-circular-migration-a-triple-win-or-a-dead-end>

ვისბროკი, ანია და ჰაიდელბერგ შნაიდერ, *ცირკულარული მიგრაცია და პარტნიორობა მობილურობისათვის*“ ევროპარლამენტი 2009
<http://www.europarl.europa.eu/committees/en/studiesdownload.html?languageDocument=EN&file=28798>

